საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლენინური

გაზეთი „გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი

№ 106 (6483) 17 ოქტომბერი ხუთშაბათი ფასი 5 კაპიკი

დრო მიდის, მშენებლებო!

გაიმართა რაიონის მშენებლობათა ხელმძღვანელობის შტაბის სხდომა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რაიონში მშენებლობის მდგომარეობა არის ძალზე არადამაკმაყოფილებელი. შტაბის წინა სხდომიდან დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა არცერთ წამყვან მშენებლობაზე. მაგალითად, ალპანის საავადმყოფოს მშენებლობა (მშენებელი სარემონტო-სამშენებლო უბანი) შეჩერდა, დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მიწის სამუშაოების შესრულებით, ფუნდამენტის ამოღებით, შემდეგ კი ერთ კვირაზე მეტია არაფერი გაკეთებულა. შეფერხებებია ტრანსპორტით უზრუნველყოფაში, როცა მოვლენ მძღოლები, დღეში მხოლოდ 3-4 საათს მუშაობენ. ხოლო სარემონტო-სამშენებლო უბანი არ ხელმძღვანელობს მშენებლობას სათანადოდ. სამშენებლო მასალების ნაწილი საცვლად პირდაპირ მშენებლობის ობიექტზე მიტანისა მოქვთ ცაგერის საწყობში, რაც ხელმეორედ ტრანსპორტირებას მოითხოვს.

არ იქნა და საშველი არ დაადგა მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობას. დრო დაპირებებში გადის. იმის გამო, რომ არ მოთავდა არცერთი საფრინველის შენობა, ჭიანურდება დანადგარების მონტაჟი. ანალოგიური მდგომარეობაა რაიონული საავადმყოფოს მშენებლობაზე.

სხდომაზე ხაზი გაესვა იმას, რომ წლები გადის და წიფერჩის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანა ვერ უშვებს პროდუქციას, არადა მასზე დიდი მოთხოვნილებაა რაიონში. ქარხანას 400 ათას მანეთზე მეტი დავალიანება აქვს, რაც კიდევ უფრო გაიზრდება წლის ბოლომდე.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს ღვედის მეწყერთან არსებული ცენტრალური გზა. თვით მეწყერთან მდინარე ცხენისწყალი გადაკეტილი აქვს ორ უზარმაზარ კლდის ნატეხს, რაც წყალდიდობისას საშიშროებას უქმნის ცენტრალურ გზას, ამიტომ საჭიროა მისი სასწრაფო აფეთქება, რაზედაც უნდა იზრუნოს 23-ე საგზაო სამმართველომ.

აღინიშნა, რომ მიწისძვრით დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროს ირღვევა მშენებლობის ტექნოლოგია, არ ითვალისწინებენ მიცემულ მითითებებს, რეკომენდაციებს, რის შედეგადაც ადგილი აქვს ცემენტის გადახარჯვას.

შტაბის სხდომამ დაავალა ელექსელების დირექციას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ელექტროქსელების სარემონტო სამუშაოებს სოფლად.

მოსავალი 91

პრეფექტურაში

ხილის დამზადების ტემპი დაბალია

შემოდგომა ძალაშია. სოფლად ყველგან შრომის გაცხარებული დღეებია, რასაც ამინდებიც ხელს უწყობს. სოფლის მშრომელები აბინავებენ მოსავალს. ყველა ჩქარობს მაქსიმალურად გამოიყენოს მზიანი ამინდები და მომზადებული შეხვდნენ ზამთარს.

გაიმართა რაიონის პრეფექტურასთან შექმნილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რაიონული შტაბის მორიგი სხდომა, რომელსაც წარმართავდა რაიონის პრეფექტი ბარიელ ალავიძე.

სხდომაზე აღინიშნა, რომ დღეს რესპუბლიკაში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა. უპირს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მოსახლეობის უზრუნველყოფა კვების პროდუქტებით, ამიტომ მთავარია უდანაკარგოდ იქნას აღებული მოსავალი. წელს გარკვეული ამოცანის წინაშე დგანან რაიონის სოფლის მშრომელები. სახელმწიფო დაკვეთა ითვალისწინებს 2000 ტონა ყურძნისა და 6000 ტონა ხილის მიყიდვას. დღეისათვის რაიონში სულ დამზადებულია 2024 ტონა ხილი. აქედან სასურსათო კომბინატს დამზადებული აქვს 622 ტონა, მათ შორის კურკოვანი 342 ტონა, თესლოვანი 270 ტონა. დამზადების გაერთიანებას—1402 ტონა, მათ შორის კურკოვანი 244 ტონა, თესლოვანი 1158 ტონა. ხილის დამზადების ტემპი არადამაკმაყოფილებელია, რადგან გასული წლის შესაბამისი პერიოდისათვის დამზადებული იყო 3554 ტონა. საჭიროა დამზადების გაერთიანების და სასურსათო კომბინატის მუშაკებმა მეტი ქმედითობა, ორგანიზებულობა, დაინტერესება გამოიჩინონ ხილის დამზადების ამ გადამწყვეტ დღეებში, რათა გადაჭარბებით შესრულდეს ხილის დამზადების სახელმწიფო დაკვეთა.

სხდომაზე ხაზი გაესვა რაიონის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით, ნავთით და სხვა საქონლით მომარაგების საკითხებს. აღინიშნა, რომ ნავთი ნორმის მიხედვით შეტანილია თითქმის მეტ წილ სოფლებში. პურსაცხობები მომარაგებულია პურის ფქვილით 2 კვირის მარაგით, ბაზებიდან მოუწოდებლობის გამო შეფერხებებია ზოგიერთ სოფელში სარეალიზაციო პურის ფქვილის მიწოდებაში.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მოხდა სახელშეკრულებო წესით ფასების მომატება ყურძენზე, რაც ცაგერის ღვინის ქარხნის მუშაკებისაგან მეტ ინიციატივას მოითხოვს.

მოსავალი — 91

საწარმო მზადაა რთველისათვის

ძნელზე ძნელი დღეები უდგას საქართველოს. შეუწყნარებლობას, დაუნდობლობას დაუსადგურებია ქართულ მიწაზე, რაც ადითგანვე ამარცხებდა და მტრის წინაშე აჩოქებდა ქართულ სულს. რა გვემართება, საქმე უკეთესობისაკენ არ მიდის, თანდათან გვაკლდება მიმტევებლობის, შემწყნარებლობის, სხვათა აზრის გაზიარებისა და მოთმენის უნარი, რაც არ შეიძლება არ აღელვებდეს ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს.

ყველაფერთან ერთად უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი დღითიდღე ღრმავდება. თავიანთ საქმეს მოწყვეტილი ადამიანები პოლიტიკურ ვნებათა ღელვას მოუცავს, არადა საქმე თავისას მოითხოვს. მევენახეობა-მეღვინეობა იყო, არის და იქნება ჩვენი ეკონომიკის ძირითადი წყარო. ლეჩხუმში რთველი ახლოვდება, მალე დაიწყება ყურძნის მასიური კრეფა, ბევრი რამ მართებთ ღვინის საწარმოებს, რათა შეძლონ ჩვენი მევენახეების მიერ დიდი ვარჯით მოწეული მრსავლის შეუფერხებელი მიღება-გადამუშავება.

საამისოდ განსაკუთრებული მზადყოფნა იგრძნობა რაიონის ღვინის საწარმოებში.

გასულ სამეურნეო წელს ორბელის ღვინის საწარმომ 1565 ტონა ყურძენი მიიღო და გადაამუშავა და რთველი ვარკვეული წარმატებით დაამთავრა. მიმდინარე წელს კი მიუხედავად სამშენებლო მასალების დეფიციტისა, რთველისათვის მზადებას დროულად შევუდექით. მზადაა ტარა-მასალა, ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები, ლაბორატორიული ხელსაწყოები, საბუღალტრო აღრიცხვის ფორმები. სიახლეა ის, რომ ღვინის საწარმოში აშენდა ხილის გადამმუშავებელი საამქრო, კაპიტალური რეკონსტრუქცია გაუკეთდა ნარჩენების გადამმუშავებელ საამქროს, ამჟამად კვლავ მიმდინარეობს ტექნოლოგიური გადამუშავების მანქანა-დანადგარების მონტაჟი. ამიერიდან ღვინის საწარმოს საშუალება ექნება მიიღოს ხარისხიანი თესლოვანი და კურკოვანი ხილი, რომლის გადამუშავებითაც მივიღებთ ახალ სასმელს. ასე რომ, საწარმოს შრომითი კოლექტივის ამოცანა—წლევანდელი სეზონის წარმატებით ჩატარება, მაღალხარისხოვანი ღვინო მასალის წარმოება. ლეჩხუმში მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციული დარგის აღდგენა-აღორძინებისათვის განსაკუთრებული ზრუნვაა.

შ. ჩაჩხიანი,

ორბელის ღვინის საწარმოს უფროსი.

აბინავებენ ჭირნახულს

ღვინობისთვეა. ენკენისთვის მსგავსად ვნებათაღელვა არა და არ ცხრება, მეტისმეტად მძიმე დღეები უდგას საქართველოს. ცხოვრებას მოწყდნენ ადამიანები, მიტევება, შერიგება—აი, რა არის ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრების თავიდათავი.

მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის. საქმე თავისას ითხოვს. მოწეულ მოსავალს დაბინავება, კარს მომდგარ ზამთარს მომზადებული შეხვედრა უნდა. სოფლის მშრომელებს მოსჭარბებიათ საქმე. ადამიანებს, რომლებსაც არავისთვის არაფერი დაუშავებიათ, მთელი წელი შრომაში გატარებიათ, ახლა, შემოდგომის ამ დღეებში მოსავლის აღებისა და ზამთრისთვის მზადებისათვის იშვიდი, ნორმალური გარემო სჭირდებათ. სადაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან სიმინდის ხვავებია, ვიდრე ყურძნის კრეფა დაიწყებოდეს, სიმინდის მოსავალს იღებენ მშრომელები. შემოდგომის დოვლათით ივსება მშრომელთა ოჯახები. ღმერთო, ხელი მოუმართე მშრომელ კაცს. რაც მეტია დოვლათით სავსე ოჯახები, მით უფრო ძლიერია ერი.

გამრჯე ადამიანებს რა გამოულევს ჩვენს ლამაზ კუთხეს. ლეჩხუმელი კაცი ხომ სიმბოლოა შრომისა. გამრჯე ადამიანთა სიმრავლეა ჩვენს სოფლებში, ასევ სოფელ მახაშიც, წლის მანძილზე გაწეულ შრომას გვირგვინი დაადგა შემოდგომამ. თითქმის ერთი კვირაა, რაც ხალხმრავლობაა ცხენისწყლისპირა „ჯალის“ ტერიტორიაზე, სადაც სოფლის მშრომელთა სიმინდის ყანებია. მზიანი, თბილი დღეები თითქოსდა თანაუგრძნობს მოსავლისათვის მოლაშქრე ადამიანებს—ოღონდაც მშვიდობა იყოს, ადამიანებს შორის შუღლი და მტრობა ნუ იქნება და სურსათ-სანოვაგეზე არც თავს გავუჭირვებთ და არც სხვასო—ამბობენ გაწეული შრომის შედეგით კმაყოფილი ადამიანები—ქორა, მამუკა, ავთანდილ, რეზო, პავლე მუშკუდიანები, ნოდარ ჯიაძე, კირილე, ანზორ მეშველიანები, თენგიზ სილაგაძე, დადაში გოლეთიანი და სხვები, რომლებმაც წლის მოსავალი უკვე დაბინავეს.

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ:

ᲩᲐᲕᲮᲔᲓᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ არსებულმა ქაოსურმა მდგომარეობამ, არ გადავაჭარბებ, ანარქიამ, იქამდე მიიყვანა ადამიანები, რომ დავკარგეთ რწმენა ყველასა და ყველაფრისადმი, იკვეთება ეჭვი, რომ ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის ბევრ წარმომადგენელს დაავიწყდათ საქართველო და გაიჩაღეს პირადული ბრძოლა, ლანძღვა, ჩაქოლვა, შეურაცხყოფა შანტაჟი და ა. შ.

მსოფლიოს ცივილიზებულმა ქვეყნებმა პატარა ერაყიც კი შეგვარქვეს. დავკარგეთ შესაძლებლობა გვცნოს მსოფლიომ, მსოფლიომ კი არა და, ბალტიისაირეთმაც თავი შეიკავა.

სამწუხაროდ, ცოტას ვფიქრობთ ამაზე. 9 აპრილის სისხლი, ამდენი ბრძოლა და შრომა ჩვენივე გაუტანლობით, -მით, რომ არ გაგვაჩნია პოლიტიკური კულტურა, ტაქტი, ვერ ვფლობთ დემოკრატიულ სტრუქტურებს. წყალში ჩავყარეთ.

კიდევ მეტი: ერთი სამარცხვინო ფურცელი კვლავ ჩავწერეთ საქართველოს ისტორიაში, კიდევ ერთი ბაზალეთი ვიხილეთ—ძმათა მკვლელი, დაუნდობელი, ბოროტი შეტაკება რუსთაველის გამზირზე.

სად გავამხილოთ ხალხი, რით ვიმართლოთ თავი და ახლა, რა გველის მომავალში, ესეც რომ არ ვიცით. ვის მოვკითხოთ ამდენი დაღუპული, რით ვანუგეშოთ გაუბედურებული ოჯახები, დაობლებული ბავშვები.

რა საოცრად ამაზრზენია, რომ ჩვენ, ქართველები თითქოს შევეგუეთ ამდენ უბედურებას, ცრემლს, გაგვიცივდა გული, დავიღალეთ და აღარ გვიკვირს რამე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიას, რომელიც ამ საშინელი ამბების შემდეგ გაიმართა, იმედის თვალით შესცქეროდნენ ქართველები. მაგრამ უნდა ვთქვათ გულახდილად, რომ სესიაზეც გამოიკვეთა აგრესიული განწყობა, უპატივცემულობა, ერთმანეთის სიძულვილის პოზიციიდან გადაწყვეტილებების მიღება. პარლამენტში უნდა მოხდეს გადახალისება, თითოეული ქართველის სულში —გარდატეხა.

თვალში ჩავხედოთ ერთმანეთს, დავამარცხოთ ბოროტება, განვდევნოთ სატანა, გადავარჩინოთ საქართველო!

ლ. ᲨᲙᲣᲒᲣᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ „ᲛᲘᲬᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲔᲡᲐᲒᲐᲛᲔᲒᲝᲓᲔᲡ

საჯაროდ განხილვისათვის გამოქვეყნებულია კანონპროექტი „მიწის რეფორმის შესახებ“. ამ კანონს დიდი ხანია ელიან რესპუბლიკის მცხოვრებლები, რადგან მიწის რეფორმის ჩატარებას გადამწყვეტი, შეიძლება ითქვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ჩამორჩენილი, დეფორმირებული ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის სწორედ ამ სფეროში უნდა გადაიდგას მტკიცე და კარგად მოფიქრებული, გაბაზრებული ნაბიჯები.

აგრარული რეფორმის გატარება არის ხანგრძლივი წინააღმდეგობებით აღსავსე და მტკივნეული პროცესი, რადგან მიწის ფლობით დაინტერესებულია ყველა მცხოვრები განურჩევლად ეროვნებისა, განათლებისა თუ საქმიანობისა, ამიტომ მისი გატარება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, მით უმეტეს მცირემიწიან, მთიან რეგიონებში. საჭირო და აუცილებელი კი არის დაჩქარდეს კანონის მიღება და პროექტის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სპეციალისტებმა, ფართო საზოგადოებრიობამ.

მინდა გამოვთქვა ზოგიერთი შენიშვნა კანონპროექტის შესახებ. კერძოდ, შენიშვნა მაქვს მე-16 მუხლის მიმართ, სადაც წერია, რომ „სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად მოქალაქეებს მიწა გადაეცემათ მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების **პირობით** — იმატრიკულაციის პირობით. ამ მიზნით მოქალაქეებს მიწა გადაეცემათ მთიან რაიონებში ათი, ბარის რაიონებში—თხუთმეტი წლის საკონკურსო ვადით“. ჩვენის აზრით აქ შეუსაბამობაა, არ შეეფერება სინამდვილეს. მთიან რაიონებში ასეთი გადაცემა უნდა მოხდეს კანონის მიღებისთანავე, თანაც უვადო და მუდმივ საკუთრებაში, რადგან ჩვენი გლეხობის ძირითადმა ნაწილმა უკვე გაიარა ეს საფეხური. 25-30 წელია მათზე გაპიროვნებული იყო მიწის ნაკვეთები და უვლიდნენ, ხოლო 4-5 წლის წინ მათთან საჯარო ხელშეკრულებებიც კი გაფორმდა. 10 წლით მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის გაჭიანურება ძალზე უარყოფითად იმოქმედებს სოფლის მცხოვრებლებზე და რწმენასაც დაუკარგავს.

კანონპროექტის მე-18 მუხლის მეორე პუნქტში ჩაწერილია, სხვებთან ერთად მიწები გადაეცემათ „სოფლად მუდმივად მცხოვრებ სოფლის მეურნეობის სპეციალიტებს, რომლებიც მუშაობენ მიღებული სპეციალობის მიხედვით“. რაც წინააღმდეგობრივია. მაშინ, როცა კოლმეურნეობები უქმდება სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მეტი წილი უმუშევარი რჩება ან სხვა სამუშაოზე უნდა დასაქმდეს, რა ვუყოთ მათ?!

იქვე მე-18 მუხლის მეოთხე პუნქტში მოცემულია, რომ „ის მოქალაქეები, რომლებიც კისრულობენ ვალდებულებას დაამუშაონ მიწა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად, არ უნდა იმყოფებოდნენ სახელმწიფო სამსახურში. იმ შემთხვევებში, როცა კომლი გამოთქვამს სურვილს მიიღოს მიწა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, კომლის ერთი შრომისუნარიანი წევრი მაინც არ უნდა იმყოფებოდეს სახელმწიფო სამსახურში“. ჩვენის აზრით, ასეთი ფორმულირება არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ქალაქების და რაიონის ცენტრების მომიჯნავე სოფლების მცხოვრებთა მეტი წილი ვერ მიიღებს მიწას, რადგან მუშა-მოსამსახურეები არიან. თუ გადავხედავთ მსოფლიოს სოფლის მეურნეობის მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითს, რომ შეიქმნას ფერერული თუ გლეხური მეურნეობა, რომელიც აწარმოებს საბაზრო პროდუქციას და თავის თავსაც დაირჩენს სჭირდება არანაკლები 4-5 ჰექტარი მიწის ფართობი თავისი ტექნიკით. საქართველოში კი, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, ამის მინიმალური შესაძლებლობაც არ არის. მარტო ჩვენს რაიონში, ცაგერისა და ჩხუტელის კოლმეურნეობების მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, ძირითადი მცხოვრებლები მუშა-მოსამსახურეებია. დღეს იჯარული შრომის პირობებში მოიჯარეებზე მიმაგრებული მიწის ფართობი 3-4 ათას კვადრატულ მეტრს არ აღემატება, რაზედაც მოწეული მოსავალი და შემოსავალი არ ყოფნის გლეხს ოჯახის შესანახად, ამიტომ იძულებულია დასაქმდეს წარმოება-დაწესებულებებში ხოლო თუ მიწა ყველა მცხოვრებზე განაწილდება, აღნიშნული მიწის ფართობი კიდევ უფრო შეუმცირდება ოჯახებს. ამიტომ კანონპროექტის ეს მუხლი უნდა შეიცვალოს ისე, რომ რაიონში მცხოვრებმა ყველა კომლმა იგი გლეხია, თუ მუშა-მოსამსახურე მიიღოს მიწა, რათა შექმნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და თავსაც არგოს და სახელმწიფოსაც.

ნ. ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ.

ᲔᲫᲔᲑᲔᲜ

ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის კოლექტივს სერიოზული მისია აკისრია—პირველყოვლისა ტყის მოვლა-დაცვა, ეკოლოგიური ზედამხედველობა, ახალი ტყე-კულტურების გაშენება, ამასთან ტყის რესურსების გამოყენებით დამხმარე მეურნეობების განვითარება.

რთული სამეურნეო წელია მიმდინარე წელი. ეკონომიკურ კრიზისშია საქართველო. ამას პოლიტიკური არეულობა დაერთო. კოლექტივისათვის ბენზინიც ისეთი დეფიციტი გახდა, რომ ზაფხულის თვეებში დამზადებული შეშა დროულად ვერ გამოიტანეს ტყიდან.

როგორც კი გაჩნდა საწვავი, ორგანიზებულად

ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ

შეუდგნენ შრომას. მთელი კოლექტივი დაირაზმა შეშის დამზადების დავალების შესასრულებლად. სკოლებს, საკრებულოებს, საბავშვო ბაღებს, სამედიცინო დაწესებულებებს თუ სხვა ორგანიზაციებს უკვე მიუტანეს შეშა. გეგმური 920 კუბური მეტრის ნაცვლად დაამზადეს 930 კუბური მეტრი.

ახლა შემოდგომის თბილი ამინდებია, ტყეში მიმოსვლა არ ფერხდება. ტყის მუშაკები ისევ ამზადებენ შეშას.

კოლექტივის შემოსავლის კარგი წყაროა მეფუტკრეობა. მართალია ფუტკარს დაავადება გაუჩნდა, მისი გამრავლებით ვერ იკვეხნიან, მაგრამ 5000 მანეთამდე შემოსავალი მაინც მიიღეს ამ დარგიდან წელს. არ ფარავენ—მეურნის ალღო, ფუტკრის კარგი მოვლა-პატრონობა განაპირობებს მეფუტკრეობის—ამ მაღალშემოსავლიანი დარგის აღმავლობას და საბოლოო ჯამში ორგანიზაციის ზარალიანობიდან თავის დაღწევას. ამიტომ ცდილობენ არა მარტო თავი დაირჩინონ, არამედ ეძებონ რენტაბელობის ოპტიმალური გზები და საშუალებები. სხვა გზა არ არსებობს დღეს.

ᲒᲖᲔᲑᲘ

26 წლისა იყო, როცა კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძში მოვიდა სამუშაოდ კაპიტო ჩიქოვანი. მას შემდეგ 34 გრძელი წელიწადი გავიდა. წლები, დამუხტული ათასი მოულოდნელობით, ტკივილით თუ სიხარულით, ცრემლით თუ იმედით, ცხოვრების ავ-კარგი რომ გააგებინა. მის ლაბირინთებში ატარა.

სოხუმში ბუღალტრების მოსამზადებელი ტექნიკუმი დაამთავრა სამრეწველო ბუღალტერიის განხრით. შემდეგაც განაგრძო სწავლა. მთავარი მისთვის მაინც საყვარელი საქმე იყო, საქმე, რომელსაც მთელი ახალგაზრდობა შეალია.

ახლა კაპიტო ჩიქოვანის ოჯახში სამი ვაჟიშვილია. გრძელდება ჩიქოვანების გვარი. უფროსმა ქუთაისის

„ᲡᲐᲥᲛᲔᲛᲐᲜ ᲨᲔᲜᲛᲐᲜ...“

პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, დაოჯახდა და მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა, სამუალო და უმცროსი ვაჟები კი სტუდენტები არიან. ხოლო მეუღლე ეთერ კობერიძე მედდაა ცაგერის საავადმყოფოში.

ერთი პატიოსანი, უბოროტო ოჯახიაო-ამბობენ ნაცნობები, ჭირში გამტანი და ლხინშიც ერთგული თანაშეინახეო.

—მუდამ მონდომებით ვეკიდებოდი დავალებულ საქმეს, იგი ყოველთვის პირველხარისხოვანი იყო ჩემთვის. ბევრჯერ მიმიღია შექება ჩემი მუშაობის პროცესში. არ მინდა თავის ქება გამომივიდეს... ისე დასახანია... არცერთი შვილი არ აგრძელებს ჩემს საქმეს. მეხომ მას სიცოცხლის 34 წელი შევალიე-ამბობს კაპიტო ჩიქოვანი.

„საქმემან მისმან“ **გამოარჩია** ამ წუთისოფლის ორომტრიალში **ერთი** პატიოსანი, **მშრომელი კაცი.**

ᲮᲔᲚᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲢᲐᲥᲐᲠᲘ

თუ რამდენად მტკივნეულია ადამიანისათვის მხედველობის დაქვითება, ალბათ, ახსნაც არ სჭირდება. თავად მე მარცხენა თვალში მთლიანად დავკარგე მხედველობა. სამკურნალოდ მივმართე თბილისის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს თვალის განყოფილებას, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები საზღვარგარეთული აპარატურის გამოყენებით ატარებენ მკურნალობას. აღნიშნულ საავადმყოფოში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თამაზ ალექსანდრეს ძე ალექსიძემ ჩემს ავადმყოფობას დაუსვა დიაგნოზი —მარცხენა თვალის ტრავმული კატარაქტა, რაც საჭიროებდა გადაუდებელ ქირურგიულ ოპერაციას.

უმოკლეს ხანში თავად თამაზ ალექსიძემ ჩაატარა ოპერაცია. შემდგომ მკურნალობა 12 დღის განმავლობაში გაგრძელდა წარმატებით, აღმიდგა თვალის სინათლე. აღსანიშნავია, რომ ბატონი თამაზი ხელმადლიანი დასტაქარია, 42 წელია ემსახურება ამ საქმეს და მისი მკურნალობის შედეგად მრავალ ავადმყოფს აღუდგა ან ნაწილობრივ მაინც აღუდგინა მხედველობა.

პროფესორის გვერდით ავადმყოფთა მკურნალობას გულისხმიერად ეკიდებოდნენ ექიმი თემურ შეყრილაძე, მედდები დალი ბედინეიშვილი და თინა ხუციშვილი. ღმერთმა მისცეთ დაუღალავი ენერგია მკურნალის კეთილშობილური მისიის წარმატებით აღსასრულებლად.

გ. ᲒᲝᲚᲔᲗᲘᲐᲜᲘ.

შრომის ვეტერანი. სოფ. უსახელო.

საკრებულოში

დღევანდელ პირობებში, როდესაც ასე გართულებულია საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, როცა ხალხს უაღრესად დაძაბულ და ნერვიულ ატმოსფეროში უხდება ცხოვრება, შრომა, დიდი ამოცანების წინაშე დგანან სოფლის საკრებულოები.

წიფერჩის სოფლის საკრებულოში ხშირია დეპუტატების, აქტივის მსჯელობა სოფლის მშრომელთა კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. როცა საკრებულოს გამგებლის გ. ჩარკვიანის კაბინეტში შევედით, დამეწყრილთათვის სამოსახლო მიწის გამოძებნის, ხეხილის რეალიზაციასა და მისგან შემოსული თანხების რეგიონის სოციალურ-კულტურული განვითარებისათვის გამოყენებაზე მსჯელობდნენ. ჩავერიეთ საუბარში და სხვა საკითხებიც ბევრი წამოიჭრა. საკრებულოს მუშაობის გაცნობამ დაგვანახა, რომ ბევრი სიძნელეა მუშაობაში. მიუხედავად ამისა საკრებულოს ხელმძღვანელობა, დეპუტატები, აქტივი თავიანთ შესაძლებლობას არ იშურებენ მშრომელთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხების, რეგიონის სოციალურ-კულტურული განვითარების, მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ზრდისა და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისათვის.

საკრებულოს სესიებზე, გამგეობის სხდომებზე იხილავენ სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ, მოსახლეობის ჯანმრთელობის, კულტურული, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო განათლების შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სახავენ ღონისძიებებს. იბრძვიან მათი შესრულებისათვის.

ნახევარ წელზე მეტი არ არის რაც საკრებულო მოქმედებს, მაგრამ ზოგი რამ უკვე გაკეთდა. დეპუტატ ლ. ლიპარტელიანის ინიციატივით შეკეთდა სამანქანო გზა ზედა წიფერჩში. ასევე შეკეთდა ლ. ასათიანის სახლ-მუზეუმთან მიწასვლელი გზა. სოფელ ლარჩვალში აშენდა სასმელი წყლის ავზი და შეკეთდა წყალსადენის ქსელი, საკრებულოს გამგეობის წევრის ბ-ზო და დეპუტატ ბონდო ხეცურიანების ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შერემონტდა სოფლის ელექტრო ქსელი და მოსახლეობა ზამთარში შეფერხების გარეშე მიიღებს ელექტროენერგიას. ჩქუმ-ქულბაქის სოფლების ელექტროგაყვანილობის საყრდენი ბოძების გამოსაცვლელად საკრებულომ სატყეო მეურნეობას გადაურიცხა 600 მანეთი და მოსახლეობას დაწყებული აქვს ბოძების დამზადება.

რეგიონში წინა წლებთან შედარებით შემცირდა ნეგატიური მოვლენები, მეზობლური დავები და ოჯახური კონფლიქტები, მაგრამ ამ მიმართულებით გასაკეთებელი კიდევ ბევრია. საჭიროა მუშაობა გააქტიუროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივმა კომისიამ.

პრობლემათა მოგვარება

საკრებულოს გამგებელს, დეპუტატებს მეტად აფიქრებთ და აწუხებთ სოფლად მიწის სარგებლობაში არსებული განუკითხობა. ბევრმა თვითნებურად შემოიკავა მიწის ნაკვეთები, როგორც სასიმინდე, ისე ვენახის ფართობები. მოსახლეობის ნაწილს მიწა არ აქვს. იჯარით გაპიროვნებული სიმინდის თუ ვენახის ფართობებიდან მთლიანი მოსავალი სახლში მიაქვთ. ის პიროვნებები, რომლებსაც მიწა არ აქვთ, უკმაყოფილონი არიან. კიდევ უფრო მეტი განუკითხაობაა ტექნიკის გამოყენების; კოლმეურნეობიდან მოსახლეობაზე იჯარით მიცემული პირუტყვით სარგებლობის საქმეში.

გამგებელმა გ. ჩარკვიანმა გვითხრა—პრეფექტურიდან მოგვცეს მითითება კოლმეურნეობის კუთვნილი ტექნიკა მიგვეცა საკრებულოებს, რითაც გარკვეულ შემოსავალს მივიღებდით, მაგრამ მითითება მითითებად დარჩა და პრაქტიკულად არაფერი გაკეთდა. მან ისიც გვითხრა, რომ საკრებულოს უფლებები დიდი არის, მაგრამ არავითარი ფინანსური შემოსავალი არ გვაქვს, რომ გადავჭრათ მშრომელთა კეთილდღეობის ელემენტარული საკითხები. იმ მიზნით, რომ გავიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა, აღვრიცხეთ საკარმიდამოს გარეთ არსებული კაკლის ხის ნარგაობა, შევაფასეთ და მოსახლეობასთან შეთანხმებით ვვარაუდობთ საკრებულომ მიიღოს 5 ათასი მანეთი. კარგი იქნება, გვითხრა მან, დროულად მოგვარდებოდეს კოლმეურნეობის ბალანსზე რიცხული ტექნიკის გადაცემა საკრებულოზე, რომელთა გაქირავებით მიღებულ თანხას მოვახმართ სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, რადიო და ელექტრო მომსახურებაში, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეში.

წიფერჩის საკრებულოში შემავალ სოფლებში 1986 წლიდან არ მუშაობს რადიოფიკაციულ მდგომარეობაშია ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენი ბოძები ზედა და ქვედა წიფერჩში, ბარდნალასა და ჩქუმ-ქულბაქში. ქსელი საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ შეკეთებას. ამის შესახებ ზემდგომ ორგანოებში საკრებულოს ხელმძღვანელთა მიერ რამდენჯერმე ყოფილა დაყენებული საკითხი. მაგრამ ამ საკითხის მოგვარებისთვის არავის უზრუნია. გადაუდებელ კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს სასოფლო კულტურის სახლი. თვით საკრებულოს შენობა. მტკივნეულია მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი. მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს რეგიონში არსებული ერთად-ერთი პურზაცხობი თორნე. მოსახლეობა გამომცხვარი პურის შესაძენად მიდის ცაგერში. საყოფაცხოვრებო მომსახურების არცერთი ობიექტი არ არის ჩქუმში, ქულბაქში, ლარჩვალში, ზედა წიფერჩში. ბარდნალაში არსებული სამკერვალო და ხაპარიკმახერო გამოკეტილია.

როგორც ვხედავთ, წიფერჩის რეგიონში ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. ზოგ მათგანს საკრებულომ უნდა მოუაროს, ხოლო ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტა საკრებულოს და მის დეპუტატებს არ შეუძლიათ. მათი მოგვარებისათვის პრაქტიკულად უნდა იზრუნონ კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის, ელექტრო ქსელების, კულტურის განყოფილების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს რაიონული რგოლის შესაბამისმა ხელმძღვანელებმა.

ვლ. დავითულიანი.

ჯანმრთელობის საფარაჯიზე

ჭეჭანური

დაავადება ტეტანუსი უძველესი დროიდანაა ცნობილი. მისი კლინიკური სურათის პირველი აღწერა მოგვცა ჰიპოკრატემ, რომელსაც ამ დაავადებით გარდაეცვალა შვილი. დაავადების განვითარებას იწვევს მიკრობის მიერ გამომუშავებული ძლიერი ტოქსინი. მიკრობი ბუნებაში ფართოდაა გავრცელებული, არახელსაყრელ პირობებში ის იკეთებს სპორას და ამ სახით წლების განმავლობაში ინახება. ის არის ბალახისმჭამელი ცხოველების ნაწლავებში და ფეკალებთან ერთად ხვდება გარემოში, მტვერთან ერთად და შეხებით გადადის ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, კანზე და მცირე ტრავმაც კი (ნემსის ჩხვლეტა) საკმარისია იმისათვის, რომ მოხვდეს ორგანიზმში, იწყებს ტოქსინის გამომუშავებას და ვითარდება დაავადება. ე. ი. დაავადების განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა, რომ გამომწვევი ორგანიზმში მოხვდეს დაზიანებული კანიდან, ან ლორწოვანიდან. შემთხვევების 62-65% მოდის ქვემო კიდურების ტრავმაზე. დაავადება ასევე შეიძლება განვითარდეს დამწვრობის, მოყინვის, მშობიარობის, აბორტის, ხალსშობილის მოკლის ასეპტიკის წესების დარღვევისას.

დაავადების სიმპტომები ვითარდება დასნებოვნებიდან 10-14 დღის შემდეგ. თუმც ეს დრო მერყეობს 1-4 დღიდან რამდენიმე თვემდე. დაავადება იწყება მწვავედ, ან წინ უსწრებს ზოგადი სისუსტე, ჭრილობის გარშემო დაჭიმვისა და ტკივილის შეგრძნება, საღეჭი კუნთების ტონუსის მომატება—ტრიზმა, ყლაპვა ძნელდება, ზურგის კუნთების დაძაბულობა მატულობს.

ამ სიმპტომების განვითარებისთანავე უნდა მივაკითხოთ ექიმს. ინტენსიური მკურნალობის დროული ჩატარების შემთხვევაში დაავადების გამოსავალი უმეტესად კეთილსაიმედოა. თუ ღონისძიებები თავის დროზე არ მივიღეთ, დაავადება პროგრესირდება. სახის კუნთების კრუნჩხვების გამო სახე ღებულობს სპეციფიკურ გამოხატულებას—ე. წ. სარდონული ღიმილი. თანდათან კრუნჩხვები ვრცელდება კისრის, გულმკერდის, მუცლის, ზურგის ქვემო და ზემო კიდურების კუნთებზე. ზოგჯერ კუნთები იმდენად იჭიმება, რომ ადამიანის სხეული ღებულობს რკალის ფორმას ორი საყრდენი წერტილით—კეფით და ქუსლებით. პერიოდულად ვითარდება ზოგადი კრუნჩხვები, რის საბოლოო შედეგი შეიძლება იყოს ასფიქსია—ლეტარული გამოსავლის წამყვანი მიზეზი.

პროგნოზი: თანამედროვე მკურნალობის მეთოდებით სასიკვდილო გამოსავალი შემცირდა 17-18 პროცენტამდე. მაღალ ლეტალობა აღინიშნება კრიმინალური აბორტების და ბინაზე მშობიარობისას დასნებოვნების შემთხვევაში.

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ერთადერთი საიმედო გარანტია დაავადების თავიდან აცილებისა არის აქტიური იმუნიზაცია ტეტანუსის ანატოქსინით, რომელიც იწყება ადრეული ბავშვობის ასაკიდან—3-თვიდან. მოქმედი აცრების კალენდრის თანახმად პირველადი ვაქცინაცია არის 3-ჯერადი, 1,5 თვის ინტერვალით და ტარდება ადსორბირებული დიფტერია—ტეტანუსის-ყივანახველის ვაქცინით. 1,5-2 წლის შემდეგ კი ტარდება დახანებული რევაქცინაცია, შემდგომი აცრები ტარდება 9, 16 წლის ასაკებში.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზმის მგრძნობელობა ტეტანუსის ანატოქსინის მიმართ კლებულობს აცრიდან 10-წლის შემდგომ, ამიტომ განსაკუთრებით ყველა იმ პიროვნებამ, ვინც სოფლადაა დასაქმებული, ყურადღება უნდა მიაქციოს ასაკობრივ რევაქცინაციებს, რომელიც ტარდება 26—34—46—56 წლების ასაკებში.

ამასთან ერთად აუცილებელია პირადი ჰიგიენის დაცვა—ტანსაცმლის და სხეულის სისუფთავე, რადგანაც მტვერში, რომელიც ილექება სხეულზე, შეიძლება იყოს ტეტანუსის გამომწვევი მიკრობებიც.

გეგმურის გარდა ტარდება არაგეგმური, ანუ ექსტრა პროფილაქტიკა—კანის საფარველისა და ლორწოვანის მთლიანობის დარღვევის გამომწვევი ტრავმებისას, II-III, IV-ხარისხის დამწვრობისას და მოყინვისას, სამშობიაროს გარე აბორტებისას და მშობიარობებისას, განგრენის, ნეკროზის, აბცესების, ცხოველებით დაკბენისას, კუჭნაწლავის ტრაქტის გამჭოლი დაზიანებისას.

ი. კოკალიანი,
ექიმი-ეპიდემიოლოგი.

ჩვენ გვწერენ

დაგელოცოს ქალოგა

არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ სხვისი სატკივარი თავისად გაიხადონ და ასეთი გულით მიუდგნენ საქმეს, ადამიანებს.

ასეთია ცაგერის რაიაფთიაქის გამგე ქალბატონი ნათელა ცხვედიანი, ქალი, რომელიც წამალთან ერთად იმდენ სითბოს გამოგატანს, თავი განკურნებული გგონია.

მე ძალიან ხშირად მიხდება მასთან ურთიერთობა. ოჯახში მძიმე ავადმყოფი მყავს, რომელიც გამუდმებით საჭიროებს მკურნალობას. არ მქონია შემთხვევა როგორი დეფიციტური წამალიც არ უნდა ვთხოვო, არ იზრუნოს და თუ მაშინვე არა, მომავალში მაინც არ დამაკმაყოფილოს. აფთიაქში რომ წამალზე შედიხარ, ეს იმას ნიშნავს, გიჭირს, გაჭირვებულის შველა კი დიდი ადამიანურობაა.

მადლობა მინდა გადაგიხადოთ ქალბატონო ნათელა.

ღმერთი გფარავდეთ უველა კეთილ საქმეში. მზრუნველი, იმედიანი და თბილი ღიმილი არასოდეს გამქრალიყოს თქვენს სახეზე.

დარეჯან მეტონიძე-მეგრელი.
ცაგერი.

გიწვევთ თემატურ საღამოზე

ცაგერის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭო 1991 წლის 24 ოქტომბერს (ხუთშაბათს) დღის 12 საათზე ვეტერანთა კლუბში (განათლების განყოფილების შენობა) აწყობს თემატურ საღამოს მიძღვნილს კავკასიაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების 48 წლისთავისადმი.

მოსმენილი იქნება მოხსენებები: კავკასიის გმირული დაცვა-მომხსენებელი ლ. ჩიქოვანი-განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგე, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

ცაგერის რაიონის წარგზავნილები კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში—მომხსენებელი ვლ. ხეცურიანი—ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

კავკასიის გმირული ბრძოლის მონაწილეთა გამოსვლები.

დასასრულს ნაჩვენები იქნება კინოფილმი „კავკასიის გმირული დაცვა".

სამამულო ომის მონაწილეებს ვთხოვთ გამოცხადდნენ აღნიშნულ დროისათვის და მონაწილეობა მიიღონ თემატურ საღამოში.

ლ. ჩიქოვანი.

რედაქტორის მოადგილე
მ. ძნელაძე.

ჭადრაკის მოყვარულთა საყურადღებოდ

საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ცაგერის რაიონული ორგანიზაცია მართავს რაიონულ ღია პირველობას ჭადრაკში.

შეჯიბრების ჩატარების პირობები:

მონაწილეობის მსურველებს შეაქვთ ზემოთაღნიშნულ ორგანიზაციაში 50 (ორმოცდაათი) მანეთი.

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ფულადი ჯილდოთი: 1-ლ ადგილზე გასული—200 მანეთით, მე-2 ადგილზე გასული—100 მანეთით, მე-3 ადგილზე გასული—ხამბასოვრო საჩუქრით.

საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ცაგერის რაიონული ორგანიზაცია.

ბილოცავთ

ირმა ჯემალის ასულ კოკალიანს
გოჩა როინის ძე ჩაკვეტაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ჯანსაღი, ფუფეძლიერი ქართული ოჯახი. ერისთვის ბევრი ლამაზი გაგეზარდოთ, ხელითა და გულით ძლიერნი.

კოოპერატივ „ლაძგვერიას" თანამშრომლები.

ნარიკა გურამის ასულ გურჯალიანს
დათო გრიშას ძე მეშველიანს

გილოცავთ ბედნიერებას. მარადიული სიყვარული და ერთგულება ალამაჯებდეს თქვენს სიცოცხლეს.

ცოცო, ეკა, მაკა, მერი, ალბერტ მახარობლიძეები.

ირმა მიქაძეს
გია ირემაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ფუფეძლიერი ოჯახის შექმნას, სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

სოფო, გოჩა სვანიძეები, ვახტანგ ომანაძე.

ირმა ვაჟას ასულ მიქაძეს
გია მევლუდის ძე ირემაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. მარადიული სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. იმრავლეთ ქართველი ერის სადიდებლად.

მარინე, ტარიელ სალინაძეები.

ბილოცავთ

ლალი, ხამსონ კანაჩაძეებს

გილოცავთ შვილის ბედნიერებას. მუდამ ყოფილიყოს თქვენს ოჯახში სითბო და სიკეთე, სიხარული და სიყვარული. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი!

ნოდარ კოპალიანი ოჯახით.

ეთერ ლუკას ასულ ჩაჩხიანს
ნანი ზაქრის ასულ ვაწაძეს

გილოცავთ შვილის და მაზლის ბედნიერებას. შეექმნათ ფუფეძლიერი ოჯახი.

ალპანის საავადმყოფოს თანამშრომლები.

ზურა, ენგელი, ამირან აფრიდონიძეებს

გილოცავთ შვილის და ძმის თორნიკეს ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში. სიხარული და წინსვლა არ მოგიშალოთ ბუნების ძალამ.

სასურსათო კომბინატის შრომითი კოლექტივი.

შაკა, მაკა გურგუჩიანებს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდეთ ერის სასახელო შვილები.

დემურ, დეზოლი გურგუჩიანები.

ლენა, ეკა, დიტო გოგიძეებს

გილოცავთ პატარა მიშა გოგიძის დაბადებას. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

ჯუმბერ გოგიძე, კობა კოპალიანი ოჯახებით.

გორის აკაკის ძე ხეცურიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. იცოცხლე, იხარე.

ჯოკი შუბულიანი ოჯახით.

ია, ჯემალ კოკალიანებს

გილოცავთ ირმას ბედნიერებას. ბედნიერად ყოფილიყავით თქვენი ცხოვრების მანძილზე.

ქელეები ახვლედიანი, მიშა უგრეხელიძე, ზურაბ ხაბულიანი, გენო ღურჭუმალიძე, ოტელო მდივანი, სვეტლანა ჭილვარია, სულიკო გვიშიანი.

ნინო, ნოდარ ახვლედიანებს
ნუცა ჩაკვეტაძეს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟაცი.

მაია, ანზორ კვირკაშვილები.

აზა ყვირილიანს
ანზორ ნემსწვერიძეს

გილოცავთ ლელას ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში და ბელას ბედნიერებას.

სიხარული და სიყვარული არ მოგკლებოდეთ.

გია, გელა, გოგი მუშკუდიანები.

ნინო, ნოდარ ახვლედიანებს

გილოცავთ ვაჟის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟაცი. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

ზაურ, ზურაბ კვირკაშვილები ოჯახით.

ნაზიკო, გრიგოლ გენდელიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები.

მარსელ, შარდენ ფრუიძეებს
ვედიკო, ნათელა ცინარიძეებს

გილოცავთ შვილების ლალისა და ჯანიკოს ბედნიერებას. ღმერთმა ამრავლოს მათი ახლადშექმნილი ოჯახი.

თამილა, ასკალონ, დათო სვანიძეები, ნატო, თემურ შკუბულიანები.

თინა გრიგოლის ასულ გენდელიანს
მთვარისა გიორგის ასულ მიქაძეს

გილოცავთ შვილის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას. გისურვებთ ულევ სიხარულს.

დამზადების გაერთიანების თანამშრომლები.

გულნაზი, მურმან თვარაძეებს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას, ვუსურვებთ შვილთა სიმრავლეს და სიხარულს.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

სუსანა (ფრენიკო) ცინარიძეს

გილოცავ ძმის ბედნიერებას, მარადიული სიყვარული ყოფილიყოს მისი ოჯახის თანამგზავრი.

მარინე.

ნინო, ნოდარ ახვლედიანებს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. სიხარული არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

თალიკო გუგავა, დოდო - ჭაბუკიანი, მერი გურგუჩიანი, ლალი ლარცულიანი, გულნაზი ახვლედიანი, ლუიზა ჩიქოვანი, ლამარა ბანძელაძე.

გიორგი ნიკოლოზის ძე ქარსელაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, შენი სიცოცხლე იყოს მრავალჟამიერ.

ნათია, სოსო ლეთოდიანები, ელისო, ელზა, ირაკლი ხეცურიანები, თამთა შველიძე.

ნანა, გოგი გვიშიანებს

გილოცავთ მესამე ქალიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ ერის სასახელო ქართველი ქალი. შემატებოდეთ ძმები.

გურამ, მუხრან გვიშიანები ოჯახებით.

ელიზო ზოთას ასულ მოწონელიძეს
გიორგი ვიჯიკოს ძე ქარსელაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას

მალვინა, ვაჟა ქარსელაძეები, ნონა, გოჩა ლობჟანიძეები.

თინა, ზური ხეცურიანებს

გილოცავთ შვილის ბედნიერებას.

ლაილაშის საექიმო ამბულატორიის თანამშრომლები.

შვილები იზო, მევლუდი, გოგი, სიძე გელა, კუხალა შვილი, შვილიშვილები ნოდარი, ნათია, ძმები არჭობი, შარდენ ხეცურიანები, და ოლია, მაზლი ერმილე ბენდელიანი, რძლები შურა, ეთერი, ძმისშვილები, დისშვილები, მაზლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლოლა ვასილის ასული
ხეცურიანი-ბენდელიანი.

დაკრძალვა 20 ოქტომბერს, კვირას ქ. ცაგერში.

გურამ, ჯიბილო ბურჯალიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ თამარ გურგენ ბურჯალიანებს

სერგო ჩაჩხიანის

გარდაცვალების გამო.

გრიშა, გურამ ბურჯალიანები ქორა, გაგა გვიშიანები ოჯახებით იუწყებიან

იუზა გურგუჩიანის

გარდაცვალებას

მეულლე სონა, შვილები ნუცა, ლიდა, კუკური [illegible] იკო, სიძეები [illegible] ლაძე, გიორგი [illegible] ლიშვილები რამაზი, ალიოშა, გიორგი, ირმა, შვილთაშვილები მაია, ია, ლია, დისშვილები ეთერი, გელა, ზაური, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ წარდიონის ძე
ფალავანდიშვილი

დაკრძალვა 17 ოქტომბერს, ხუოშაბათს, სოფ. კენაშში.

დადაში, ზურაბ ჩაკვეტაძეები, კუკური ბერიძე, ნორა კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე
დავითულიანი

ამირან, ომარ ფუტკარაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ციცო, გია დავითულიანებს

მამუკა დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

სახელმწიფო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლილი ყურაშვილს მაზლისშვილის

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

წიფერჩის საბავშვო ბაღ-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლილი ყურაშვილს მაზლისშვილის

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

მურმან, ჯემალ სილაგაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუზა (უზბა) გრიგოლის ძე
გურგუჩიანი

თამაზ სვანიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანი

ცაგერის საშუალო სკოლის 1985 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

მამუკა ჯაბოს ძე დავითულიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ინდიკო ყურჭმელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მამუკა ჯაბოს ძე
დავითულიანი

რეზო ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ბიჭიკო კოლიას ძე ახვლედიანი

ალიმი, დაზმირ, ვარდენ ყიფიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

როსტომ მიხეილის ძე
ყიფიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დადაში ხაბულიანი, მურმან ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯაბო, ჯემალ დავითულიანების ოჯახებს

მამუკა დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნატო დავითულიანს ბიძაშვილის

მამუკა დავითულიანის

გარდაცვალების გამო.